ოჯახის მხარდაჭერისა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გავლენა საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმებული მარტოხელა დედების სტატუსის მქონე ქალების ცხოვრების ხარისხზე

ნატო კაპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო კაპანაძე

09.06.2023

აბსტრაქტი

საქართველოში ქალთა საოჯახო ვალდებულებებისა და შრომის დისპროპორციული ტვირთის ფონზე მათი კარიერული მისწრაფებების განხორციელების საკითხში დიდი როლი აქვს ზრუნვის ეკონომიკას. საჯარო თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალების დაბალი წარმომადგენლობის მიზეზი ხშირ შემთხვევაში სამუშაო და პირადი ცხოვრებას შორის დისბალანსია, რომელსაც სამუშაო ადგილზე დედებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების დეფიციტი ამყარებს. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციისა, საჯარო სექტორში არსებული ოჯახის მხარდამჭერი და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა სუსტია. ის არ ასახავს ქალების და განსაკუთრებით კიდევ უფრო ვიწრო და მოწყვლადი ჯგუფის - მარტოხელა დედების ინტერესებსა და საჭიროებებს.

ერთის მხრივ მარტოხელა დედები რჩებიან პარადიგმაში, რომელსაც ტრადიციული კოლექტიური ნორმებითა და კულტურული დისკურსებით განსაზღვრული „თავგანწირული დედობა“ უწესებს და ხოლო მეორეს მხრივ ცდილობენ დარჩნენ კონკურენტუნარიანები და რეალიზებულები შრომის ბაზარზე, იმ მწირი შესაძლებლობებით, რომელსაც საჯარო სექტორში არსებული ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკა სთავაზობთ.

ტექსტების ანალიზისა და ინტერვიუების საშუალებით, ნაშრომი ცდილობს აჩვენოს მარტოხელა დედების მრავალწახნაგოვანი ტვირთი. სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს მარტოხელა დედების გამოცდილებას საჯარო სფეროში ინტერსექციური ლინზის მეშვეობით. ინტერსექციურობის თეორიული ჩარჩოს საფუძველზე, კვლევა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, თუ როგორ აყალიბებს მარტოხელა დედების კონფლიქტური იდენტობები, მათ შორის სქესი, კლასი და ოჯახური მდგომარეობა, მათ გამოცდილებას სამუშაო ბაზარზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მარტოხელა დედებს

ქართული კულტურა შვილებზე თავდადებულ ზრუნვას კარნახობს და ამასთავე მათ ოჯახის მარჩენალის ფუნქციაც ეკისრებათ. აღსანიშნავია, რომ ოჯახის მიღმა დარჩენის გამო მარტოხელა დედები ხშირად სოციალური მარგინალის სტატუსსაც იძენენ.

საჯარო სექტორში დასაქმებული მარტოხელა დედების ცხოვრებისეული გამოცდილების პერსპექტივის ჩვენებით ნაშრომს წვლილი შეაქვს ინტერსექციურობისა და მარტოხელა დედობის შესახებ არსებული ლიტერატურის გამრავალფეროვნებაში. მარტოხელა დედების წინაშე არსებული გამოწვევების უკეთ გასაგებად გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ აკადემიური წრეებისთვის, არამედ სამოქალაქო აქტორებისთვის, რომლებიც ინკლუზიური და სამართლიანი პოლიტიკის შექმნაზე ზრუნავენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ოჯახის მხარდამჭერი და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა, მარტოხელა დედა, ინტერსექციურობა, ცხოვრების ხარისხი, სამუშაო დროისა და ცხოვრების ბალანსი, კარიერული პოტენციალის რეალიზაცია.*

Abstract

In Georgia, the care economy plays a significant role in fulfilling women's career aspirations, considering the disproportionate burden of family obligations and work. The reason for the low representation of women in public and economic life in most cases is the imbalance between work and private life, which is reinforced by the lack of maternity protection guarantees in the workplace. Research conducted within the scope of this study reveals that despite the state's international obligations and the Parliament of Georgia's concept of women's economic empowerment, the existing family-supportive and gender-sensitive policies in the public sector are weak. They do not adequately reflect the interests and needs of women, particularly a vulnerable group like single mothers.

On the one hand, single mothers remain in a paradigm dictated by traditional collective norms and cultural discourses that define "selfless motherhood." On the other hand, they try to remain competitive and fulfilled in the labor market with the limited opportunities offered by the family-friendly policies in the public sector.

Through the analysis of texts and interviews, the study tries to show the multifaceted burden of single mothers. The master's thesis examines the experiences of single mothers in the public sphere through an intersectional lens. Drawing on an intersectional theoretical framework, the study aims to explore how the conflicting identities of single mothers, including gender, class, and marital status, shape their experiences in the labor market. They are women and mothers, whom the Georgian culture dictates take devoted care of their children. Along with these responsibilities, they are employed women and single mothers who often find themselves socially marginalized due to their non-traditional family structures.

By providing a perspective on the lived experiences of single mothers employed in the public sector, the paper contributes to the diversity of existing literature on intersectionality and single motherhood. A better understanding of the challenges faced by single mothers will be useful not only for academic circles but also for civil actors concerned with creating inclusive and equitable policies.

Keywords: *Family-friendly and Gender-sensitive policies, Single Motherhood, Intersectionality, Quality Of Life, Work-Life Balance, Realizing Of Career Potential.*

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ელენე გავაშელიშვილს, რომლის აქტიურმა ჩართულობამ და მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად გამიადვილა ნაშრომზე მუშაობის პროცესი. ელენე გულისყურით ეცნობოდა ჩემს მიერ გაგზავნილ პროგრესის ანგარიშებს, მაძლევდა საჭირო რჩევებსა და ინფორმაციას.

მადლობა ჩემს თანამშრომლებს, სალომე ლომჯარიასა და სალომე ლურსმანაშვილს, რომლებიც მონაცემების შეგროვების ეტაპზე დამეხმარნენ. რესპონდენტებს, რომლებიც რთული გრაფიკის მიუხედავად დამთანხმდნენ კვლევაში მონაწილეობაზე და საკუთარი გამოცდილება გამიზიარეს.

მადლობა ჩემს მეგობარს, ლია კაპანაძესა და კურსელს, სალომე დოჩიას პროფესიული რჩევებისთვის. ყველა იმ ადამიანს, რომელიც მთელი ამ პროცესის განმავლობაში მოტივაციას მაძლევდა და მგულშემატკივრობდა.